

**აკაკი წერეთლის  
პუბლიცისტური წერილების  
ენობრივი ეტიკეტი<sup>1</sup>  
LINGUISTIC ETIQUETTE IN  
AKAKI TSERETELI'S  
PUBLICIST LETTERS**

**თამარ ნინიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი. საქართველო

**Tamar Ninidze**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi. Georgia

**ABSTRACT**

Linguistic etiquette is manifested differently in texts of different styles (literary, official-business, publicist, etc.). Akaki Tsereteli's journalism contains quite a wealth of material in this regard.

Akaki's publicist letters cover current issues of his epoch (19th century). The author often portrays the vicious sides of the society of that period but tries to disguise his ideas under the guise of linguistic ethics. That is why his writings frequently display euphemistic passages, words, and phrases, which, to be understood, sometimes require taking the epoch and the political situation in the country into consideration.

Akaki Tsereteli's journalism pays considerable attention to the adherence to linguistic ethics. By applying various linguistic means (personal, demonstrative, and indefinite pronouns, verb forms, address forms, parenthetical words, and phrases, omitting a word or group of words, substituting words, using phraseological units, antithesis, etc.), the writer tries to make the message clear and understandable, so as not to name a specific addressee, not to humiliate the author or the reader, which, in general, creates an interesting picture of polite speech and, one might say, eloquence.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული პუბლიცისტიკა, ენობრივი ეტიკეტი. აკაკი წერეთელი.

**Keywords:** Georgian journalism, linguistic etiquette, Akaki Tsereteli.

---

<sup>1</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინი „ეტიკეტი“, თუმცა ჩვენ სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპის გათვალისწინებით ვიყენებთ ტერმინ „ეტიკეტს“, რომელიც გვხვდება ა. შანიძისა და ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში (ტერმინის შესახებ მსჯელობა ვრცლად იხ.: ნინიძე 2021: 28-31)

პუბლიცისტური წერილები – ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალა განკუთვნილია საზოგადოების ფართო ნაწილისთვის, მკითხველისთვის, რომელიც სხვაობს ასაკის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა თუ განათლების დონის მიხედვით. აღნიშნული საზოგადოების ნაწილია პუბლიცისტური სტატიების ავტორიც, რომელიც ხშირად ქვეყანაში განვითარებულ აქტუალურ მოვლენებს ეხება. XIX საუკუნეში მოღვაწე პუბლიცისტთა წინაშე იდგა ამოცანა, სააშკარაოზე გამოეტანათ საზოგადოების მანკიერებანი, მაგრამ ისე, რომ თავი მისგან განყენებულად არ წარმოედგინათ. ამ ამოცანის შესასრულებლად პუბლიცისტს/მწერალს ენობრივი რესურსის ოსტატური გამოყენების უნარი სჭირდება. სწორედ ასეთი ოსტატობა იგრძნობა აკაკი წერეთლის პუბლიცისტურ წერილებში, რომლებშიც იმ ეპოქის საჭირობოტო საკითხებია გაშუქებული. ის გრძნობს მისი, როგორც ავტორის, მისიას და ამიტომაც სტატიებში ჭარბობს ენობრივი ეტიკის სამოსში შენიღბული, ევფემისტური მონაკვეთები, სიტყვები და ფრაზები, რომელთა გაგები-სათვის ხშირად საჭიროა გავითვალისწინოთ ეპოქა და ქვეყნის პოლი-ტიკური ვითარება.

ენობრივი ეტიკეტი სხვადასხვა სტილის (მხატვრული, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური...) ტექსტებში სხვადასხვაგვარად რეალიზდება. როგორც კ. ჯორჯანელი აღნიშნავს, „ევფემიზმთა და სტილის ურთიერთობა საინტერესო, მაგრამ რთული საკითხია. იგი მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს“ (ჯორჯანელი 1977: 73). აკაკის პუბლიცისტიკა ამ ასპექტით საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნეში ჟურნალ-გაზეთებს ჰქონდა ფუნქცია, იდეური გავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე, რადგან იყო მასობრივი კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი საშუალება. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების, ცენზურის პირობებში ჩნდებოდა საჭიროება თავისუფალი აზრი შენიღბულიყო სხვადასხვა ენობრივი საშუალებით, მათ შორის ევფემიზმებით.

აკაკი წერეთლის მხატვრულ ნაწერებში ევფემიზმების გამოყენების ენობრივ საშუალებებს პირველად შეეხო პროფესორი რაფიელ შამელაშვილი 1990 წელს გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც იგი მიუთითებს ამ საკითხის ღრმად შესწავლის აუცილებლობაზე (შამელა-შვილი 1990). ჩვენს ნაშრომში განხილულია აკაკი წერეთლის პუბლი-ცისტური წერილების სტილისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ენობრივი ეტიკეტის ასპექტით, რაც მწერლის შემოქმედების ამ კუთხით შესწავლის მცდელობის ერთგვარი გაგრძელებაა.

აკაკის პუბლიცისტიკაში ევფემიზმების გამოხატვის ენობრივი საშუალებები მრავალფეროვანია. ერთ-ერთ წერილში პოეტი აღნიშნავს: „ზრდილობაც ერთი ციური ნიჭთაგანია, თუ კაცი რიგიანათ მოიხმარს“ (გვ. 194)<sup>2</sup>.

აკაკის პუბლიცისტიკაში ენობრივი ეტიკეტი გამოხატულია:  
1. პირის, ჩვენებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებით;

<sup>2</sup> მაგალითები დამოწმებულია წიგნიდან: აკაკი წერეთელი, თხზულებანი 7 ტომად, ტ. VII, თბილისი, 1959.

2. ზმნური ფორმებით; 3. მიმართვის ფორმებით; 4. ჩართული სიტყვებითა და ფრაზებით; 5. სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამოტოვებით; 6. სიტყვათა ჩანაცვლებით; 7. ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენებით; 8. ანტითეზით (აზრის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებით გამოხატვა); 9. სემანტიკური რედუქციით.

განვიხილოთ თითოეულ მათგანთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევები.

**ნაცვალსახელები.** აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში ბუნებრივია მეორე პირის მრ. „თქვენ“ ნაცვალსახელის თავაზიანობის ფუნქციით გამოყენება:

**თქვენ** რომ ქართული არ დაგზარებოდათ და კარგათ წაგეკითხათ... (გვ. 45);

**თქვენ** რომ ამოგიწერიათ და ის ერთი ლექსიც „შესახებ“ გამოგირიცხავსთ, მაშინ სხვა აზრი გამოდის (44-45).

საინტერესოა თვითდამცრობის გამომხატველი, ე. წ. **პეიორატიული ენობრივი საშუალებები**, რომლებიც ენობრივი ეტიკეტის ფორმაა, ასევე, ავტორისეული „ჩვენ.“ როგორც რ. ზექალაშვილი მიუთითებს, „მხატვრულ ან პუბლიცისტურ ნაწარმოებში მოუბარი პირია თავად ავტორი, რომელიც თხრობას ზოგჯერ პირველ პირში წარმართავს, ხანაც პასიურ მთხრობელად გვევლინება. ასეთ შემთხვევაში ადრესატია ყველა მკითხველი (ე.წ. კოლექტიური ადრესატი). ...საკუთარი წვლილის ხაზგასასმელად ავტორი იყენებს I პირის მრავლობით რიცხვს (ე.წ. ავტორისეულ „ჩვენს“)“ (ზექალაშვილი 2012: 93-94). ამგვარი ფორმები მრავლადაა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში:

არ მინდოდა... **ჩემი სუსტი შრომის** გამოლევა მისთვის („დროებისთვის“; 44).

თუ მის სტატიებზე გვდომებოდა ლაპარაკი, მაშინ **ჩვენს** სტატიასაც სულ სხვა სათავე ექმნებოდა (45);

**ჩვენ** არ შევეხებით... იმ კერძო პირებს... (134)...

**განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (ზოგი, ზოგიერთი, ზოგ-ზოგი, რამდენიმე/რამდონიმე, ერთი).** როგორც ცნობილია, განუსაზღვრელი ნაცვალსახელების გამოყენება წერთსა თუ ზეპირ დისკურსში შეიძლება განპირობებული იყოს ადრესატის დაფარვის სურვილით, რათა ადვილად არ გაცხადდეს, თუ ვის ეხება მოცემული უარყოფითი კონტექსტი, რაც მეტყველების ეფემიზაციის ერთ-ერთი ფორმაა:

**ზოგიერთები:** ისე გაგრძელდა ეს ჩვენი სტატია, როგორც **რამდენიმე** გვამების შური ახალ თაობისადმი (36); სიტყვას „ზეგარდამო შთააგონებას“ დაცინებითი მნიშვნელობა აქვს მიცემული **ზოგიერთებისაგან** (43); ნაზისა და ნარნარის ხმით, გაბუტვით, გვეტყვიან **ზოგიერთები** (67); ჩვენი ხალხი საზოგადოდ დარწმუნებულია, ვითომც **ზოგიერთ გველებს** ძვირფასი ქვები ჰქონდესთ (72); **ერთმა საქებმა გვამმა** უთხრა ამ კამპანიას (80); ჩვენი ხალხი... ბუნებითად კეთილი და კეთილის მოსურნეა, რომ **რამდონიმე პირების** წყალობით თვალ ახვეული ცუდ გზაზე არ იდგეს (91); ხალხში გაბნეული რომ იყოს სიმდიდრე, ისა სჯობს, ვიდრე ისეთის ხელში, რომელიც ისე ხმარობს, როგორც **ერთი სულიერი თევას** (120); ვიცი **„ზოგ-**

**ზოგი**“ ახალ-გაზდები ბრძანებენ: „ეჰ, რა გამოვა ყვირილით!“ (150); ჯერ პირველად გამოვიდა ხელნაწერი ლექსი, სახელდობრ „გამოცანა“ **ერთი ახალი თაობის მომხრისა**, რომელშიაც იყო ლაპარაკი ძველი თაობის ზოგიერთ წარმომადგენლებზე (153); **ზოგიერთი პირები**, საზოგადო საქმეში პირადობის შემომტანელები, დღეს ამთავითვე ჩვენ საქმეს გვიხდენენ (206); ბოლოს, **ზოგიერთებს** რომ მობეზრდათ თავი, ჰკრეს ხელი ბატონებს (209).

ქართულ ენაში **ზმნური ევფემიზმების** მრავალფეროვნების შესახებ არაერთხელ აღნიშნულა. ეს მრავალფეროვნება განსაკუთრებით ნიშანდობლივია XIX საუკუნისათვის, რაც, ბუნებრივია, მწერლის პუბლიცისტიკაშიც არის ასახული. გამოვყოფთ რამდენიმე ფორმას:

**მოგახსენებთ / მომიხსენებია:** მე კი ტყუილს არ **მოგახსენებთ**, რომ რამდენჯერაც უნდა ვნახო, ყოველთვის დღავი მომაგონდება-ხოლმე (229); მე ჩემ და თავათ არ **მომიხსენებია**, რომ პოეტი გახლავართქო და თქვენ გინდა დამიძახეთ პოეტი და გინდ ნუ (51); ვინ **მოგახსენათ**, რომ მე არ ვალდებულობდე პირად კ. ბ. ჯორჯაძისასთან ლაპარაკს? (45); ვალდებული ვარ **მოგახსენოთ** ჩემი წინააღმდეგი აზრი (22); მართალია, რასაც **მოგახსენებთ** (გვ. 11).

**არის / გახლავს / ბრძანდება:** დიახ, თანახმა **გახლავარ** (23); ჩვენი გლეხების ფილოსოფია და ისტორია ქართული ანდაზები და შემთხვევები **გახლავსთ** (17); ერთი გულჩრვილი კაცი **გახლავარ** (17); მე ჩემ და თავათ არ მომიხსენებია, რომ პოეტი **გახლავართქო** და თქვენ გინდა დამიძახეთ პოეტი და გინდ ნუ (51); უფალი **ბრძანდებოდა** ოქროს ტახტზედ (228); მკითხველო! ვიცი, რომ საქართველოში **ბძანდებით...** (21).

ევფემისტური ზმნური ფორმები ზოგ კონტექსტში უარყოფითი სემანტიკითაა დატვირთული, თან ახლავს ირონია: დამბერვლები ამ ცეცხლის ისევ ჩვენი... მოძმეები **ბრძანდებიან** (188); იმათი მღერა... ჩხავილი იყო და არა სტვენა, რადგან თვითანაც არ **ბძანდებოდნენ** ბულბულები (30).

**გადაბრძანდეს / ჩაბრძანდეს:** ეს ის ქალაქია, რომელმანც ადრე თუ გვიან ბარგი უნდა აიკრას და სადმე წყლის პირათ... **გადაბრძანდეს!** მართალია ახლა კი უნდა **ჩაბრძანდეს** გეგუთს, მაგრამ ფეხები მაინც არ იქნება საჭირო, რადგანაც ისევ ჩაახოხებენ ზურგის ამხანაგით (97).

**ბრძანებთ / მიბრძანეთ:** **ბრძანებთ**, ამტკიცებსო, **ბრძანებთ**, ვითომც ოხუნჯობით, უ. ბეთანელო (17); ახლა ისიც **მიბრძანეთ**, ვის რა ჩაუდენია, ისიც მომიყევი (113); თურმე, ნუ **ბრძანებთ** (91). სანთლებს რომ ავსებთ, იმისას რაღას **გვიბრძანებთ** (103).

**მიბოძეთ / უბოძეთ:** გთხოვთ, შენდობა **მიბოძეთ** (252); ერთი პატარა ლეკვი მაინც **გვიბოძეთ** (გვ. 83); გთხოვ, უფალო რედაქტორო, ამ ჩემს ნაწერს თქვენს გაზეთში ადგილი **უბოძეთ** (76).

**უნდა / ნებაგს:** რადგანაც უ. ა-ს არა **ნებაგს** თავისი სახელის გამოცხადება... მე გამოვაცხადებ (136); ვისაც **ენებოს** მობრძანდეს (212); ეხლა ლერმონტოვის თხზულებისაგან რუსულათ გიანბობს, რაცა **გნებაგთ** (9).

საინტერესოა **მიმართვის ფორმები**, წოდების აღმნიშვნელი სახელები: **უფალო** (შემოკლ. – უ.) / **ბატონო**, **თქვენო აღმატებულებაგ:**

**მის ბრწყინვალეზას, მის ბატონობას, მის ტარშინობას, ბატონს** ახალ წელიწადს (250); თქვენ ხომ არ მიბრძანებთ, **თქვენო აღმატებულებაგ.**

რომ ეს დოქტორი სხვა ვაგონში გავიყვანო (203); დარწმუნდით, **უფალო** „დროებავ“, ჩვენი საზოგადოება... მზა არის... (123); მე გირჩევ, **უფალო** ავტორო! (გვ. 5); პირველი საადვოკატო საგანი და მიზეზი ჩემის განსჯისა დღეს თქვენ ბრძანდებით, **ბატონო** „დროებავ“ (123) **ბატონო** მკითხველო! (21); **ბატონო** მეფე! (228); **თ.** (თავადი) ნ. ბარათაშვილი და **თ.** ი. ჭავჭავაძე (20); ერთ უპირველეს ადგილთაგანი უჭირავს **კ. (კნინა)** ბ. ჯორჯაჯისას (42)...

**ჩართული** თავაზიანი ფრაზები: **როგორც მოგეხსენებათ...** (16); **მოგეხსენებათ**, რომ პირველათ ყოველი ფერი მიბაძვით იწყება (13).

**უკაცრავად...**: სხვებს რომ ეხება და სჯის, იქ კი **თუ უკაცრავად არ ვახლავართ**, მოსჩვენებია (207); ბატონებო, **თუ უკაცრავათ არ გახლდეთ**, ერთი მიბრძანეთ, სადა ვარ? (181); **უკაცრავად**, უ. რედაქტორო, რომ ამ გვარის სტატიით თავს გაწყენთ (60); **თუ უკაცრავათ არ გახლდეთ**, გირჩევთ... წაბმანდეთ და იმითა ჰკითხოთ (53); მაგრამ **უკაცრავათ!** (გვ. 41); **უკაცრავათ**, თქვენი ჭირიმე (150).

**თქვენმა მზემ: თქვენმა მზემ**, გამიკვირდა, ისეთი მშვენიერი ენით იყო დაწერილი (17).

თავაზიანი მეტყველება, ბუნებრივია, არანორმატიული ლექსიკის გაეფხვების ტურობას გულისხმობს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ქართულ ენაში არსებული ინვექტივის ეფემიზაციის არაერთი საშუალება შეიძლება შეფასდეს როგორც ეროვნულ-სპეციფიკური (ომიაძე 2006: 279). აკაკის პუბლიცისტური ტექსტებისათვის დამახასიათებელია უხერხული ან გარკვეული მიზეზის გამო დასაფარავი სიტყვის გამოტოვება და მის ნაცვლად მრავალწერტილი: დამეხსენი **შე მამა...** და სხვანი... (40); მაი **დედა გ...ჯილი** ტყუილათეა გაჩუმებული? (128); თუ საცოდავმა ქმრებმა... თორმეტი მოწამე არ დაისწრეს, მათი შვილები, უეჭველია, კანონიერად აღარ ჩაითვლება (128).

**უარყოფითი დატვირთვის მქონე, უხერხული ფრაზის ან გამონათქვამის სუბსტიტუტად გვევლინება სხვა სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი:**

ხალხში გაბნეული რომ იყოს სიმდიდრე, ისა სჯობს, ვიდრე ისეთის ხელში, რომელიც ისე ხმარობს, როგორც **ერთი სულიერი თივას** (120).

მართალია ახლა კი უნდა ჩაბმანდეს გეგუთს, მაგრამ ფეხები მაინც არ იქნება საჭირო, რადგანაც ისეც ჩაახოხებენ **ზურგის ამხანაგით** (97).

ვაი, რა ძნელია, რომ კაცს მეტი საშუალობა აღარა რჩება-რა და მიწას ეხვეწება გაგრილებას!.. ღმერთო, უსმინე მათ ვედრება და **გააგრილე ისინი მიწით!..**

ამ უკანასკნელს, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ირონიული ელფერი დაჰკრავს.

საანალიზო მასალაში გვხვდება **ფრაზეოლოგიური ერთეულების** გამოყენებით ადრესატის დაფარვის შემთხვევები:

1. საინტერესოა 1871 წლის 17 ივლისის N28-ში დაბეჭდილი წერილი „უფალო რედაქტორო!“, რომელიც პასუხია ალექსანდრე წერეთლის წერილისა, რომელშიც ავტორი ბრალს სდებს აკაკის, თითქოს დაეწეროს,

რომ ალექსანდრე წერეთელს ბევრი ქართული წიგნი აქვს და არავის ასარგებლებს. წერილი ევფემისტური მეტყველების ნიმუშია:

„ჩვენი ხალხი საზოგადოდ დარწმუნებულია, ვითომც **ზოგიერთ გველებს** ძვირფასი ქვები ჰქონდესთ ხან და ხან სათამაშოდ“ (გვ. 72) – პოეტი აქ ალ. წერეთელს გულისხმობს, მაგრამ ამასაც არ აკმარებს და „თავაზიანად“ ამკობს:

„თ. ა. წერეთლის ხასიათი მიმტკიცებს მე მას, რომ იმას ძველი ქართული წიგნები არა აქვს, და რაცა აქვს, ვის არ უნახავს. ერთი ხელთნაწერი რვეული, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა ანდაზებს... ეს ანდაზები ანაბანაზედ არიან დაწყობილი და იწყება ამ ანდაზით: **„ავი ძაღლი არც სხვას აჭმევს და არც თვითონ ჭამსო“**, და ბოლოვდება რუსთაველის ლექსით:

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ჰონდათ ცილობა

**„ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,**

**თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარი-შვილობა“** (გვ. 76).

ნათელია, თუ რის გამოხატვას ემსახურება ეს სიტყვები.

2. ხალხში გაბნეული რომ იყოს სიმდიდრე, ისა სჯობს, ვიდრე ისეთის ხელში, რომელიც ისე ხმარობს, როგორც **ერთი სულიერი თივას** (120).

3. „დაუჯინია უ. ყიფიანს, არა, საჭიროა თუ არა, მაინც მოკლესტატიებს არ უნდა სწერდეთო უ. ლოლობერიძის საპასუხოდო და მაგ დალოცვილმა როგოც არ იცის, რომ **ჩიტს ზარბაზანს არავინ ესვრის“** (212). ამ ფრაზით აკაკი აკნინებს ადრესატს...

4. მეველემა სთქვა: მე იმ **პირუტყვს** რას ვერჩი, რომელიც ჩემს ყანაში არ შემოვაო! მისი არ იყოს, ჩვენ არ შევებებით... **იმ კერძო პირებს**, რომელთაც ან ავი ან კარგი დამოკიდებულობა არა აქვსთ საზოგადოებასთან (134).

ევფემიზაციის ერთ-ერთი საინტერესო ხერხია **ანტითეზა**, საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებით გამოხატვა, რაც აკაკის პუბლიცისტიკაში საკმაოდ ხშირია. მაგალითად, განათლების სფეროში არსებული პრობლემების, კერძოდ, ქართულის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების, შესახებ აკაკი წერს: „ანაბანას პირველ კლასში კი აღარ იწყებენ – უკანასკნელში და **დიდი წარმატებაც არის**, ასე რომ „ანიდან“ რომ მოჰყოლიან სწავლას უკანასკნელი კლასის მოსწავლეები **„მილამდი“**, თუ ასე ბეჯითად ასწავლეს, **„ჰაე-ჰოემდიც“** მიაღწევენ (გვ. 68). აქ სათქმელი ანტითეზითაა გადმოცემული.

საინტერესოა **უარყოფითი სემანტიკის შერბილების** / უარყოფითი სემანტიკის ხვედრითი წილის შემცირება-რედუქციის შემთხვევებიც:

ვაჭრებო! გირჩევთ ამისთანა წინდები რამდენიც შეგიძლიათ, იმდენი დაამზადეთ გასაყიდათ... მაგრამ ქუდის კი რა მოგახსენოთ. **ვგონებ, ბევრი ვერ ნახოთ მისი მუშტარი** (142) ნამუსის ქუდი რომ არ ახურავთ, ასე ლანძღავს.

მკითხველო, შენც მოგეხსენება, რომ ამგვარი მოთხოვნილება ჩვენში **ძვირათ სადმე ყოფილა** (143).

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, ენობრივი ეთიკის დაცვას აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა. მწერალი სხვადასხვა ენობრივი საშუალების (პირის, ჩვენებითი

და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, ზმნური ფორმები, მიმართვის ფორმები, ჩართული სიტყვები და ფრაზები, სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამოტოვება, სიტყვათა ჩანაცვლება, ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენება, ანტითეზა...) გამოყენებით ცდილობს, სათქმელი ნათლად და გასაგებად მიიტანოს მკითხველამდე ისე, რომ არ დაასახელოს კონკრეტული ადრესატი, არ გამოიწვიოს ავტორისა თუ მკითხველის „სახის შელახვა“, რაც, საერთო ჯამში, კეთილმეტყველებისა და, შეიძლება ითქვას, მახვილმეტყველების საინტერესო სურათს ქმნის.

### დამოწმებული ლიტერატურა

**ზექალაშვილი 2012:** ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგიური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები). თბილისი, 2012.

**ნინიძე 2021:** ნინიძე თ., ევფემიზმის ლინგვისტური მახასიათებლები და ფუნქციები ქართულში (V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით). ქუთაისი, 2021.

**ომიაძე 2006:** ომიძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2006.

**შამელაშვილი 1990:** შამელაშვილი რ., ევფემიზმები აკაკის ნაწერებში. გაზეთი „ქუთაისი“, 6 დეკემბერი, 1990.

**წერეთელი 1959:** წერეთელი ა., თხზულებანი, სრული კრებული 7 ტომად. ტ. VII, პუბლიცისტიკა, ფელეტონი. თბილისი, 1959.

**ჯორჯანელი 1977:** ჯორჯანელი კ., ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ. თბილისი, 1977.